ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №7

(კონსოლიდირებული ტენდერი CON170000048; CON170000045;CON170000062)

ქ. ახალციხე **25 იანვარი 2018 წელი**

ერთის მხრივ, ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეული **(ქ.ახალციხე, კოსტავს ქ. №18),** წარმოდგენილი **მერის მოვალეობის შემსრულებლის გურამი მელიქიძის** სახით და **მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი"** (თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №5 , ს/კ № 202177205) გენერალური დირექტორი თემურ კოხოძე, წარმოდგენილი ახალქალაქის ფილიალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის **ილია თედორაძეს** სახით. (2018 წლის 16 იანვრის № 0079/ა მინდობილობის საფუძველზე), ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების 2017-2018 წლების ზამთრის სეზონის საბურავების, კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2017-2018 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 აგვისტოს №1646 განკარგულების საფუძველზე, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „სატენდერო კომისია" - „2017-2018 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 აგვისტოს №1646 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8 „ფორსმაჟორი" - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა" და/ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ავტომანქანებისათვის საბურავების შეძენა, რომლებიც აკმაყოფილებს 2017 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000048; CON170000045; CON170000062) სატენდერო დოკუმენტაციითა და მისი დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის 14 (თოთხმეტი) ცალი საბურავი, დანართი №1-ის შესაბამისად.

2.3 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: **CPV-34300000**, ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ა) ხელშეკრულების ღირებულებაა: 2664 (ორიათას ექვსას სამოცდაოთხი ლარი) ლარი (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით), დანართი №1-ის შესაბამისად.

4. საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით ნაკისრ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.

4.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.4 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-

ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გ) პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბ) განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

გ) სატენდერო კომისიას მიმართოს შესაბამისი დასაბუთებით საბურავების ხარისხის გაუარესების თაობაზე. კომისიას უფლება აქვს, მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

ე) საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაზღვევისათვის

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.5%.

6.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავების ღირებულების 20%- ის ოდენობით.

6.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3 .მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.
8.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, სამი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.
9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 12 მარტის ჩათვლით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველის სახელით: **ახალციხის მუნიციპალიტეტის** **მერის მოვალეობის შემსრულებელი** **გურამი მელიქიძე**	**მიმწოდებლის სახელით:** **შპს „თეგეტა მოტორსი“** **ახალქალაქის ფილიალის დირექტორის** **მოვალეობის შემსრულებელი ილია თედორაძე** **(პ/ნ 05001001979)**
----------	----------
(ბ.ა)	(ბ.ა)
ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. №18 ს/ნ 224101317 Email: akhaltsikhemeria@gmail.com	მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5 ს/კ: 202 177 205 ტელ: 224 44 44; 599 09 09 10. ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა.ა. GE80TB 0600 0000 2446 7853

დანართი №1

#	ზომა	რაოდენობა (ცალი)	ბრენდი	მოდელი	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ფასი	მიწოდების თარიღი
1	R15 185/65	2	hifly	Win-tur212	72.00	144.00	2018 წლის 10 თებერვლის ჩათვლით
2	R16G 195/75	6	hifly	Win-transit	120.00	720.00	2018 წლის 10 თებერვლის ჩათვლით
3	R16G 7.50	6	Michelin	Latirude cross	300	1800.00	2018 წლის 10 თებერვლის ჩათვლით
					ჯამი	2664.00	

შემსყიდველის სახელით:
ახალციხის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი
გურამი მელიქიძე

(ბ.ა)

ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. №18
ს/ნ 224101317
Email: akhaltsikhemeria@gmail.com

მიმწოდებლის სახელით:
შპს „თეგეტა მოტორსი“
ახალქალაქის ფილიალის დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი ილია თედორაძე

(ბ.ა)

მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5
ს/კ: 202 177 205
ტელ: 224 44 44; 599 09 09 10.
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი TBCBGE22
ა.ა. GE80TB 0600 0000 2446 7853

2018 წლის 25 იანვრის №7 ხელშეკრულების ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

25 იანვარი 2018 წელი

ქ.ახალციხე

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის (ს/კ 224101317) მერის 2018 წლის 08 იანვრის №22 07 ბრძანებით შექმნილი მიღება-ჩაბარების კომისიის წევრები ვადასტურებთ, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში **შპს ,,თეგეტა მოტორსი"-სთან , „ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ავტომანქანებისათვის საბურავების შეძენის უზრუნველყოფაზე."**

კომისიის წევრები:

კომისიის თავმჯდომარე - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი მოადგილე: **გურამი მელიქიძე**

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: **იოსებ კაპანაძე**

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი: **გელა ლომიძე**

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ტექნიკურ -ეკონომიკური განყოფილების ხელმძღვანელი: **სტეფანე კაჭკაჭიშვილი**

კომისიის წევრი - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელი: **ეკატერინე ხართიკაშვილი**